



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

ბრძანება

№01/30-ო

ქ.თბილისი

18 ოქტომბერი 2013 წ.

სს "სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში" იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის 33¹ მუხლის, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სს "სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში" იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადა გაგრძელდეს 2013 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით.

2.საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.

3.ინფორმაცია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ეცნობოს კომპანიის მარეგისტრირებელ ორგანოს და გამოქვეყნდეს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე.

4.აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5.აღნიშნული ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.



ლაშა ნიკოლაძე

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი